

მ ი რ ი ა ნ მ ე ჯ ე

წმინდა ნინო

ისწულება

დიმიტრი ბაქრაძისა

კამოცემული

ტიორგი ა. სუტის-შეიღასაგან.

თბილისი

ექვთიმე ხელაძის წესებისა

1879

Дозволено цензурою, Тифлиси, 12 Июли 1879 года.

შ ე ნ ი მ ნ ვ ა .

ჩუგნი გუხუდღა, რომ უფ. დიდატნი ხაქობის სა-
ქარტველას ისტორიული წყობები ეწათ — ანუ რომელ-
ნიმე წიგნებდ დაგვეთა და ისე გამოგვეცა, მაგრამ ჩუგნი
ეს ვერ მოგვსვენს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო და ასე
გამოგვევით მსალოდ მეორე და მესამე ნაწილს
ისტორიას, ამის შემდეგ გამოვიტოვოთ თათარ საუკუნის ის-
ტორიის ცალკე ცალკე, რადგანაც ეწათ მიხი დაბეჭდვა
დიდს დროს მოითხოვდა და საღვინებთანაც ძვირათ ელი-
რება; და მიტომ ვაწიეთ ჩუგნი ამას საწილ-საწილ დაუთავა
და ისე გამოვიტოვო. ამის შემდეგ დაიბეჭდება საქარტვე-
ლად და ხაგნატ მუხე მთავრთმეტე საუკუნეში, ამ ხაგ-
ნატის შემდეგ იქნება, რადგანაც გამოვიტოვო წყობები
თითო საუკუნისა — ანუ თითო რომელიმე შესანიშნავი
ისტორიული პირობა. მაგალითად: როგორც ვახტანგ
გორგასა ღანასა, — დავით აღმაშენებელი თამარ დავით-
ფაქალისა, ქეთევან დავითფაქალისა, იპატავა მეორისა და
სხვა პირობებსა.

წ. 3.

1879 წ.

27 ივლისს.

მიწიან მეფის დრო და წმ. ნინო.

I

უკანასკნელის საქართველოს აწმკიდის ასოციაციის მეფობაში, სპარსეთში მოხდა ცვლილება. აწმკიდები დაეცნენ და იმათა ადგილი დაიჭირეს სასანიდებმა. ამ სამეფო სასლის დამფუძნებელი იყო ატრატქსეტიანი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთა უფროსის ბაბეგის შვილი და სასანის შვილის-შვილი. არდაშირი ითვისა სპარსეთის სპარსაღარმა და შემდეგ იმის მოადგილედ დაჯდა. არდაშირმა განიწმინა სპარსეთის ტახტის დატყუა. იმისმა მადლმა მოხელეობამ და სპარსეთის მეფის ატრატანის სისუსტემ შეუმსუბუქეს იმას სურვილის აღსრულება. სამს შეტაკებაში 223 და 226 წელს არდაშირმა სრულებით დაამხრა ზარდიანამ შემოსული არშაკიები, და დაამყარა სპარსეთში სასანიდების სასლი. შესანიშნავი სასანიდების სასიათი: შოკნი სასანიდნი არიან ცხოებიანი სწავლა-ხელოვნებით; არდაშირი იყო განვითარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სსვა ხსრულებების გარდა კარნამე ანუ განმარტება თავის ცხოვრებისა და მოქმედებისა — და აგრეთვე წიგნი ზსე-

ობაზე. მეოთხე სსსანიღი ზამთრში ვ. რეკული ცხო მეყინი-
 ბობის მოყვარე და პიროვნული ექიმობაში დახელოვნე-
 ბული. ხოსრო ნუშირვანმა მეექვსე საუკუნეში გამოსტა,
 მეორედ აზღვისპირის თხრობებს უნებობაზე; იმის დროსვე
 გაგრძელდა სპარსეთში ანდროთიდაშ შემოტანა, სსს-
 სტრუქტურა ენაზე შედგენილი, უღმარა-კრება ქალაქი-
 ლაქს-ვე დამსაჭ, ანუ ხვედრებურად ქილილა—დამანა, უა-
 დაღებული მრავალ ანაურს და ევროპიულს ენებზე და-
 თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ დედოფლის
 დროს და შემდეგ ვასტანგ მეექვსისაგან და სხვა ობო-
 ლიანისაგან. სსსანიღები განითქმენ ანტიტიტუტურის ნ-
 წარმოებით: იმანი ჯედა-ქადაქი მადანი, გტუნიჭონის
 მადლობლად და გტუნიჭონის ანუ-მარე, ბუნებით შემ-
 იულ მსარეში, გფრატის კიდებზე, მოფენილი იყო გა-
 სანადარის მეგობრით. აქ იუღიანე ამჟერატორის გაღაშ-
 ქების დროს სპარსეთზე ვიზანტიელებმა ჭბოკის ტუ-
 რფად ბერძნულის სლოგნებით შემოსილი შენობები,
 ვრცელა და დიდ-მშვენიერი მტრები, სსსს შემწეობ-
 ულნი იყენენ ლოკება, დათვები და სსსა და სსსა მრ-
 ვალგვარი მკვნიარე მსეცები და სსსს დროთი დრო-
 დე სსსანიღები ნადრობით ჭსიამოქნებდნენ, ამ გვარმა
 სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა ვერ მოახილდა იმთი
 მხეცური ბუნება. თითქმის მთელის სამეფო სსსსის ს-
 სიათი განსხვავებულა სისხლის ღვრით, როგორც ში-
 ნით, აგრეთვე გარეთ. სსსსად მოხდებოდა, რომ შერა
 ვადებოდა ტარტზე მამის საკვდილით შესისხლული. ეს

იესო მარსია, რომ ცხ-და-თსუთიეტს სასანიდების წიგ-
 ნთა წიგნებში სანგძლივ მოეზობდნენ მსოფლო შვიდნი,
 ესე იგი, — შახური პირველი, შახური მეორე, იესო-
 ჯორჯი პირველი, ჰომმუსდი, იეროზი, ჰომმუსთი მე-
 სამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასანიდების წიგ-
 ნისადგენელი იესო-ჯორჯი მესამე. სასანიდები გულ-
 მსურვალად ეძინებოდნენ ზოროასტრის აღსარებას
 ანუ ცეცხლის თაყვანისცემას. დიდი გავლენა ჰქონდათ
 იმაზე მოგვეს, რომელთაც ეჭირათ გამოჩენილი ადგი-
 ლი თვით სასანიდები. სასანიდები ყოველს დონას-ძიებას
 სსებოდნენ, რომ ცეცხლის თაყვანისცემა დაემყარებო-
 ნათ ყველგან. ისინი სდევნიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას,
 რომელიც იმათ დროს მოეყენა მცირე-აზიისში, სომხეთში სუ-
 ჭართველში და აგრეთვე სპარსეთში. ამასთანავე ისინი
 უშიშრად და უწყველად ცდილობდნენ თავანთის სას-
 ღვრების გავრცელებას და უცხო-ტომთ დამონებებს.
 ისინი სანგძლივ ებძობდნენ ჯერ რომაელებს, მასუკან,
 რომლებს რომი დაეცა, ვიზანტიელებს, როგორც სომ-
 ხეთში და სპარსეთველში, აგრეთვე აზიისში. ბედ-გრული
 სომხეთი იმათას ხელთ დანიშნა და დიგლიჯა. სპარს-
 თველს ეს უბედურება არ ეწვია, თუმცა ამ განზრ-
 ხვით სასანიდები მთელის საუკუნის გამავლობაში 455-
 —560 წ.) სასტიკად ებძობდნენ ვიზანტიას, სპარსთვე-
ლს დასაყლეთს მხარეებში, ანუ ვიზანტიელების და-
 შიკაში,

მიუბრუნდეთ ისევ ანდაშინის დროს. ანდაშინის მხატვრის თავისი მიუღობელობა სპარსეთში და დანიონაჰ სომხეთი, რომელსაც შემდეგ სომხეთის მეფის ხოსროს მოკვლის 27 წლის განმავლობაში თავისუფლად განაგებდნენ, ანდაშინი და იმისი შვილი შაბური პირველი, ხოსროს დანი შვილი ტირტადი, რომელიც არტავაზ მანტაგუნიმ სიყრმითვე გააპარა რომში და იქ აღზარდა. ტირდატმა რომაელების ჯარის შემწევობით 232 წელს სძლია სპარსებს და დაჟდა სომხეთის ტახტზე. იმის დროს შემოვიდა ჩინეთიდან სომხეთში მამიკონიანთ სახელი და მიემხრო ტირდატს. არტავაზ მანტაგუნი შეიქნა სომხეთის სპარსელად, რომელმაც დიდი შემწეობა უჩვენა თავის მეფეს. ტირდატის ყოფნის დროს რომში, სპარსეთის მეფე დაეცა სომხეთს, კავკასიის მთავრებით მცხოვრებთ შემწევობით და აგრეთვე შემდეგ სომხეთის გარის საღვუნიანის მამიკონობით. სპარსეთის მეფემ სომხეთი ისევ ხელში ჩაიგდო. ტირდატმა შეიყვანა რომაელების ჯარი სომხეთში განდევნა სპარსნი და მამიკონის ხელით აიტანა საღვუნიანთ გარი და იმისი ვრცელი სამიუღობელი თვით მამიკონს უბოძა. შემდეგ ამისა დაეცნენ სპარსეთს — დარბეგანის მხრით ტირდატი, სამხრეთით — რომაელნი. ტირდატი შევიდა თვით სპარსეთის შუა-გულში, რომდენჯერმე დაამარცხა სპარსნი და უკუიქცა დიდს ნატყვევანით.

გვარწმუნებენ, ვითომც ტირდატმა დაამუარა სომხეთში სახელმწიფო წესდება საბურძნუხის მიხედვით;

იმან დასდღო რიგი სხდომისა მთავართათვის, მარჯვნივ და მარცხნივ, თვითთულის დიკსებისამებრ; დასდღო აგრეთვე რიგი სხდომისა და მუთაქებისა ნადიმობის დროს 400 თავადთათვის, რომელთაშორის უზირატესობდნენ: ბღეშნი გუგარკისა და მთავარნი ანძრუნიკისა, სიუნისა და მამიკონება. ესენი იყვნენ სომხეთის უადმატებულესნი თავადნი. ტირდატის მეფობა უფრო იმითია შესანიშნავი, რომ იმის დროს სომხეთში დაფუძნდა ქრისტეს აღსაწება. უწინ აქ, როგორც უკვლავ, გავრცელებული იყო კერპთათუვანის ცემა. ამბობენ, რომ იმპერატორი კონსტანტინე ქრისტეს აღსაწებას მიიღებდა, ქრისტიანობა გავრცელებული იყო სომხეთში; სომხური ისტორიის მოწმობით, აქ პირველად იწმუნეს ქრისტე იესო თავადი. მახარებელის ქადაგებით, მაცხოვრცხავე თანამედროემ ედესისის მეფემ ავგარმა და ედესისის სომხებმა; მასუვან ნათელ-იღეს ბართლომე მცხეთელის სულით სიუნიელებმა და აღოვანელებმა *) შემდეგ, როდესაც ავგარ მეფის შტო აღმოიფხვრა, სომხეთში ქრისტიანობა შემცირდა და შესუსტდა ვიდრე ტირდატ მეფემდე. ტირდატ მოაქცია გრიგოლ-განმანათლებელმა. ტირდატის მიზამკით ნათელ-

*) აღოვანელნი ანუ სერაპიონის აღვანელნი შევიდრობდნენ იგრიის მდინარისამ მიყოლებული დერბენტმდე და მცხეთის სამხრეთმდე. შემდეგ აღოვანელნი მცხეთის ვადმაც გავრცელდნენ, ესე იგი ყარაბაღის ვაკე მიხედრებში, რომელსაც შეადგენდნენ სომხეთის მახრები არცხანი, უვარ და ფითათყარანი. სიუნი მდებარებდა ვოქსისა, არაქსისა და ცოვანს შორის.

ილო მომეტებულმა ნაწილმა უმთავრესაა ზირობაგანმა და
 თვითხედხმაც. ზირობელი მასწავლებელი სომხეთისა გრიგოლ
 შუქისა ზირობელ სომხეთის კვისეობასდავე, რომელმაც
 მიიღო სულ-დასხმა კანკადაციის კესანიში, სადაც თვით
 იმისნი მოადგილენი მიიღებდნენ სულ—დასხმას, ორის
 საუგუნის განსჯელობაში. იმან მოიწვია მრავალნი მოძ-
 ლვანნი ბერძენთა და სარყოფთაგანნი, და იმით შუქ-
 წიგნით დააფუძნა საქმისკვათაობა, მონასტრები და
 კაკლესიები და მოჭიფანს ახალი მცნება მთელს სომხეთის
 სივრცეს. „უეჭველა საქმეა, იტყვის გამოჩენილი მწი-
 ლელი სენმარტენი, რომ ვადრე ქრისტიანობა გავრცელ-
 დებოდა სომხეთში, სასტიკი ბრძოლა უნდა ატესადიყო
 აქ, მეტადვე დაჯანის მსარეში, სადაც მოფენილი იყო
 წიქმართ ტყაობები. აქ კერძოთა თაყვანის მტემელთ მღვდელ-
 თა დიდი წინააღმდეგობა აღმოაჩინეს, ასე რომ საჭი-
 რებებამ მოითხოვა მასვილის მოხმარება იმით განდევნი-
 სათვის.“ შემდეგ ქრისტეს სჯულის მძღუებისა ვოსტან-
 ტინესგან და იმის გავრცელებისა რომის იმპერიაში ძვე-
 ლი კავშირი სომხეთისა რომთან უფრო დამტკიცდა. მაგ-
 რამ ამასთანავე ამ შემთხვევამ მომეტებულად აღძრა
 მტრობა სომხებთან სპანსეთის მეფეებში. ეს იყო
 მინუსი, რომ სომხეთში ასტყეს იმათ შინაგანი
 სარწმუნოებრივი შეფთა და განსეთქილება. ამ საქმეში
 იმათ შემწეობას აღვედნენ სომხის თავადნი, რომელ-
 თაც ამა ჭსურდათ მამაპურის აღსარების უარის-ყოფა

და რომელიც თავიანთ მეუკეთეს უმსებრენ, როგორც სჯულის მოღვაწეებს.

მა ცნობანიც ამ დროს სპარსეთს და სომხებს შეეხებინა მოყვანილნი არიან ქართლის ცხოვრებაში. ქართლის ცხოვრება უჩვენებს თავით იმათ წყაროებს: სპარსეთის ცხოვრებას, და სომხთის ცხოვრებას, საიდანაც როგორცთა შემთხვევა თათქმის სიტყვა-სიტყვით არის გამოწერილი, ამ დროს სწონოლოგია ქართლის ცხოვრებაში არეულია. მიწინის წინა-მოადგილე ასოგუგური, რომლის დროსაც, იმისავე თქმით, არდაშირე სასანიდი ჰყოლობდა სპარსეთს, მეფობდა საქართველოში 262 წლიდან—265-მდე, მაშინ როდესაც დატყუმიანობით გიციით, რომ არდაშირე მეფობდა 226—233-მდე; მიწინისი მეფობდა 263—342-მდე. ამ დროს განმავლობაში ჰყოლობდნენ: სპარსეთს რვა მეუკეთეს: არდაშირის შვილის შაპურის პირველადამ დაწყოებით ვიდრე შაპურ მეორემდე; რომს—31 იმპერატორი იმათ რიცხვში კონსტანტინე დიდი და იმისი ძე კონსტანტი; სომხეთს—ტირდატ მეორე, დროსი მეორე და არშვი მეხამე. საკვირველია, რომ უცხო ტომთა მატანენი მარინს იშვილთად მოისესხებენ. სომხას მწერალი მოსე სორენელი უჩვენებს იმის ტირდატის დროს. მოსეს თქმით იბერიის გამგე მანკანმა იწმინდეს ქრისტეს აღსაჩება ნუნეს ხელით; მიწინისი იყო ერთი ტირდატის ვარის უფროსთაგანი, რომელიც შიილთა მონაწილეობა ტირდატის ბრძოლაში „ჩრდილო-ტომეთთან“ რომის მწერალი მარტულანი ამბობს: რომ-

დესაც იმპერატორი კონსტანტი სამძაღ ესწავებოდა სპარსეთთან, მაშინ იმან უხვის სასუქრის დაპირებით მოსთხოვა მონაწილეობის მიღება ამ რაში სომხის მეფეს არსას და იბეჭის მეფეს მეტიბანგს. ეს იყო 361 წელს, მაშინ როდესაც ქართლას-ცხოვრებით საქართველოს ჭეფობდა მირიანის შვილი ბაქარ პირველი, ქართლის-ცხოვრება პირველ სასანიდს არდაშირს უწოდეს ქასრედ და ამ სასელით სასელ-სდებს „იმის ძიღამ“ მირიანიდამ დაწოებით მთელს საქართველოს სამეფო სასელს სოსროიანებად ანუ სოსროიდებად. არდაშირს ქასრედ უცხო-ტომთ მწეჭლნი არ მოიხსენებენ, მაგრამ ეს-კია რომ სპარსეთის თქიულება ზოგიერთ სასანიდების სამეფო სასლის წეჭს უწოდეს გესრად. ქართლის-ცხოვრებით ქართველების ასოგურნი და სომხების გოსაროანი ერთად ებრძვიან არდაშირს და ასოგურნი მოიწვევენ ოსებს, ლეკებს და სარსებს, სდენიან არდაშირს, შედიან სპარსეთში და აოსრებენ სპარსეთს.

II

„ასოგურს არა ჭეჭანდა ვაჟი. — ამბობს ჩვენი ისტორია, — ჭეჭანდა მსოლოდ ერთი ქალი; შეიკრიბნენ ყველა ქართლის ერისთავნი მცხეთის ქალაქში სპარსეთთან რომელსა ერქვა მანიან. იმათ ჭსურდათ მთებოებინათ რამე ღონის ძიება, რომ სპარსეთის მსრივ აგრილებინათ განსაცდელი. მანიან სპარსეთმა სთქვა: მოიკლა სპარსთავან დიდი მეფე სომხეთის; და სპარსთა მეფის განს-

რასაც აწის შთანთქმის მთელი ჩვენი ქვეყანა დაწმენილი
 ობლად და აწავინ აწის ჩვენებ იმისა წინააღმდეგობა,
 გამკეთსოვით სწავლათა მეფეს საკუთარი ვაჟი ჩვენ მე-
 ფედ და გვედწინო, რომ შენთას იმას ცოლად ასული
 ასფაგუჩისა, იმ პირადით, წამ იმისმა შვილმა აღი-
 რის სკუელი ჩვენი და აწ შემოიყვანოს ჩვენში „სწარ-
 სნი“ ერის თაგნი დაემოწმენ მანაჟან სწასპეტს წარგზავ-
 ნეს მოციქული სწავლათა მეფესთან. სწავლათა მეფემ გა-
 მოიკითხა მღებიაწყებ მცხეთისა და იმისი სავრცე მახ-
 ლობლობა სწავლათა და ოკსთა და აგრეთვე გვარი ას-
 ფაგურის ასულისა და სწო, რომ ის მომდინარეობს
 ჩებროთისათა და ფანჩავაზანთაგან. სწავლათა მეფემ შე-
 იწყნარა ვედრება ქართველთა და იხება თავის ძას მე-
 ფობა მცხეთაში, რადგანაც ყველა სომხითი ქართლ
 რის ქალაქებთა რიცხვში მცხეთა უმჯობეს ქა-
 დაქად, როგორცათა უსლავისი წმინდითა მტერთა; აქ-
 დამ შექალ იმას იმართან ბქმოლა და დაწყობა ვა-
 ვასიელთა სწავლათა მეფემ მიიღო უოკულივე თხოვნა, ქარ-
 თველთა და მოვიდა მცხეთას, სადაც მას მიეგებნენ მ-
 რეს სწავლავი და ქართლის ერის-თაგნი ქართლისანი.
 სწავლათა მეფემ ქასრემ შერიო ასული ასფაგურ მეფის
 ოავია ვაჟი, რომელად თან ჭეჭანდა და რომელიც იყო
 შვიდის წლისა, ნამობი მხველისა, იმას ერქვა სწავლად
 მიჭრან და ქართულად ბიჩინ, შირინი მცხეთას მიიღო-
 ბლად ქართლისა, სომხითისა, რანისა, მოვავანისა და
 ჭეჭეთისა. დასტავა შირინის მამა-უმეფედ და გამგებ-

დად წინინებულ მიწიანობაში ორმოცი ათასად მსუდრით-
 თუთ რჩეულით სხვათაგან, რომელიც დასხნა ქრეთის,
 მოკვანს და სომხათს. და ანა ქართლს მსოფლიად ბრძა-
 ნა, რომ ამ სხვათაგანი შეიდი ათასი რჩეული მსუდა-
 რი იყოს მცხეთას მიწიანის მცხელად „და იყოს შეიდი
 ესე ჩემი ორსავე სჯულსა სედა, მამათა ჩვენთა ცეცხლის
 მსახურებასა და თქვენთა გრძობასა რამეთუ შირველნი
 ამისცა სედა მოეცა ფიცი ქასრე მეფემ, დამოწმიდა
 უკველნი სენი კავასიანთანი; დასხნა უკველურ მთავარი
 და მოსთხოვა მათ რათა იყვნენ მოწმიად მიწიანისა,
 თვით მიწიანს და იმას მამა—მმუქს მიწვანაჲს, უბრძა-
 ნა რათა ბრძოლიან სანაწთა, და შეიღუწ წარვიდა სხვა-
 სეთად“

როგორც მოსხუენებულა, მიწიანი დაჟდა მოეცა
 შეიდის წლისა. აღსრდილია „კეძთ მსახურებაში და
 ცეცხლის თაყვანის ცემში“ მიწიანმა შეამკო „კეძნი
 და ბომონსა და კეთილად იზურა ქურუნი“. მიწიანს
 უკვარდა ქართული ენა და ქართველნი და თვით ქარ-
 თველთაც დიდა სიყვარული და შტოვის ცემი ქქონდათ
 იმისი. როდესაც მიწიანი შექმნა 15 წლისა, იმას მო-
 უკვდა მეუღელი, ქალი ასოტურასა და იმან მოკვანა მე-
 ორე ცოლი სხეულისეთა, ზონტით, ასული უფლიატო-
 რისა, სასულით სანა“. მიწიანს ქქონდა სშირი ბრძოლა
 ქრეთში და მოკვანში სხვათათან და იმათ მოკვანში-
 რე ძურძუკებთან და დიდოებთან. „უგრასი ლაშქრობა
 იმისი იყო დაჩუბანდა, რომელსაც მოწყობდნენ, რომ

კეისარი ბქძოლას ამყამად აწ იყო ძე კოსტანს სომეხ-
თა მეფისა, სასულიტ ტირდატი გოლიათი; აღწერილი
საბერძნეთში, ტირდატი გამაჩნია ეოველმა სპაშა საბქძო-
ლად გუთთა მეფესთან. გუთთა მეფე და ტირდატი მი-
ეტყვნეს ერთმანეთს. სძლჳ ტირდატმა შეიპყრა გუთთა
მეფე და იოტეს ბანაკი გუთთა. შეიდეგ ამჟსა კეისარი
მისცემს სპასა ტირდატს და გამოგზავნის სომხითში,
საიდამატ განდეგნის სპასა და ეჩისთავთა მიჩინისათა.
მაშინ მიჩინი მოიწვევს სპარსეთით თავის ნათესავს
ფეროსს დიდბაღის ჯარით; ფეროსს შეაუღლეს თვის
ქალს და დაუმკვიდრებს ქვეყანას სუხანიდამ ბარდავამდე,
სადაც იმას დაადგენს ერის-თავად. მიჩინი აუტყხს
ბქძოლას ტირდატს: რადესაც მოკრთვის ტირდატს მა-
ძალი საბერძნეთით ვერ წინააღუდგება იმას მიჩინი და
ტირდატი მოუვლის იმის ქვეყანას; რადესაც გაძლიერ-
დება მიჩინი სპარსეთით, ტირდატი ვერ შესძლებს იმის
წინააღმდეგობას და მიჩინი მოკვლის სომხითს. ესრედ
დაუცხრომელი იყო შოთათი იმათ შორის მრავალ წელ.

ქართლის-ცხოვრების ოქმით, სპარსეთის მეფის ბაქ-
ტამის მოადგილე, მიჩინის ძმის-წული, რამლის სასუ-
ლიც არ ისენიება, მიიწვიეს მიჩინს, „რათა შევკრებთ
და გარდავლოთ სომხითი და შევიდეთ საბერძნეთად“.
მიჩინი და სპარსთა მეფე გაივლიან სომხეთს, სადაც
ვერ წინააღუდგება იმათ ტირდატი, შევლენ საბერძნეთში,
ვერ წინააღუდგება იმათ ბერძნეთ მეფე კოსტანტინე და
ეს უგანასკნელი დიდს მწუხარებას მიეცემა. ამ დროს

ჭაჭნი ღვთის-მსახურნი ურხევენ კოსტანტინეს, რომ ნათელ-ილას და წარმოდგანას ჯვარი, რადგანაც „უოველნი მსახური ქრისტესნი ჯვარის წინამძღომლობით სძლევენო მტერთა“ კოსტანტინემ ნათელ-ილა და წარმოდგანას სასუ ჯვარისა და ეწეო ურიცხვთა სპარსთა სპითა მტრითა და მოსრა სიმრავლე მათი, ივლტოდეს რჩნი ძანნი მტრედითადა მსუდარითა, და მიჭყვათ მათ კოსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა. სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტა; ქართლად და განამავრა ცისე ქალაქნი“. უღონო ქმნილი და შეშინებულნი მიწიანი მოითხრეს მშვიდობას. კოსტანტინე სპარსეთის მეფის კვლავ შიშის გამო დაეხაგება მიწიანს, გამოსთხრეს იმას მძევლად იმის შვილს ბაქარს და დაამოუკრებს ტირდადს და მიწიანს, ესე იგი ტირდატის ასულს სალომეს შეჭრთავს მიწიანის შვილს რევს, განუწესებს საზღვარს საქართველოსა და სომხეთს შორის. „რომელთა ქვეყანათა მდინარენი—ამბობს ქართლის ცხოვრება დიან სამხრით, მოკრთვიან რანსსა, ესე ქვეყანანი ტირდატის დაეუნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიუკრთვიან მტკვარსა, მიწიანის კერძად და შეამდგომელ ქმნა მათ და წარვიდა“. „ჭეულაობდა მიწიანი ქართლს, რანს, ჭეჩეთს და მოვავანს, და აქნდა ეგრი-სადა ეგრის—წუღაიდა და მისცა მესა თვისსა რევს საუთელასწულოდ ჭსეთი და გუსეთი. და დასვა იგი უკვარ-მოს, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული ტირდატისა.

ოვით თეორიას, მიზანისა სიძეს აჭნდა ქვეყნა, რომელი
 უკეთესად ვასსენეთ მიცემულა მიზანისაგან და იყრ
 აქ ერის-თავად“.

ასე მოქმედებდა და მოღვაწეობდა მიზანი, ვიდრე
 ის ქრისტიან სჯულს მაიღებდა. ქართლის-ცხოვრების
 თქმით, მიზანი ათეუნიებს საქართველოში სამეფო სასლს
 ხოსროებისას, ანუ უკედ ვსთქვათ, სასანიდებისას.
 ქართველთ ერისთავთ გამართოვით, ქსრე ჰირველი სა-
 სანიდი სპარსეთისა თვითონ დაჭსვამს იმას მცხეთაში მე-
 ფედ და სსკათა შოჩის სომხეთსაც დაუშკვიდრებს იმას.
 განსაკუთრებით ეუჩადება ქსრესი მიქცეულა მცხე-
 თასე, არადგან მცხეთა ყოველთა ქალაქთა უფროსად
 და უმადრეს გამორჩინა მასლობლად ჩრდილოთა მტერთა,
 რათა იზერობდეს ყოველთა კავკასიელთა“. მიზანი ქს-
 რეს სიგვდილის შვიდეუ ითვისებს სპარსეთის ტახტს. ის
 სანგრილივი ებრძვის ჭკრეთში და მოგვანში და უფროს-
 ლა დარუბანდში სჭაწთ; რომელნიც მოადგიან დარუ-
 ბანდს, რათაიცა წარილეს და განაღეს კარი ფაქთო და
 მუნითაიცა იყეს გასვლა სპარსთა ზედა“. კოსტანტინე
 კეისრის ომში გუთთებთან მონაწილეობას მიიღებს სომ-
 ხეთ ტირდატი, რომელიც აქ თავს ისახელებს და შემ-
 დეუ ბერძნების ჯარის შვიწეობით დაიჭერს თავის სამე-
 ფოს და განდევნის სომხეთიდან „სპათ ერის-თავთა მი-
 ზანისთა“. ასტუდება ბრძოლა მიზანისა და ტირდატს
 შოჩის. გარდა ამისა მიზანი მიეგვრძება სპარსეთის
 მეუეს, რომელსაც ის საბერძნეთში შედის საბრძოლველად

კოსტანტინესთან. ამ დროს კოსტანტინეს მომხრე ზრის ტირდატი. კოსტანტინე მტრისა სძლევეს და შეიძვე დაუზავდება მიწიანს, და ამოყვრებს იმას სომხეთის მეტესთან, განუწყობს იმათ საზღვრებს და გამოსთხოვს მიწიანს მძევლად იმის შვილს ბაქარს

ამ მოთხრობაში ნამდვილი ფაქტი და უღაბრულო ამბავი ერთი შეოჩნესთან შეკავშირებულია. აქ ერთი დროს შემთხვევა მიწებს შორის შეოჩნე დროს. აქ ზოგიერთი გარემოება. რომელსაც ჩვენი მატინე მოისსენებს და უცხო ტომთ თქმულება კი არა, ეჭვ ქვეშ უნდა იყოს, თუმიც ის ისტორიის წინააღმდეგ არას წარმოგვიდგენს. შესაძლებელია, მაგალ, რომ მიწიანი იყო სასანიდთაგანი, რომ ის საქართველოს მუხედ დაუსვამს სპარსეთის ხელმწიფეს, თავის გაკლენის დასამყარებლად კაკაზის მხარეში, რომ მიწიანი სპარსეთის მეფის ძალით განაგებდა სომხეთს, რომელიც ხოსრო დიდის სიკვდილიდან ტირდატის გამეფებამდე, 27 წლის განმავლობაში, უზარუნოდ იყო დაჩქინილი და ტირდატის შემოხველის დროს განდევნილი იქნა. შესაძლებელია, რომ მიწიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმიც არდაშირის მეტევედრედ იქ დაკვდა 238 წელს იმისი შვილი მახუნი ჰირველი, რომელსაც მოწინააღმდეგე არაჰინ არ გამოსხენია. მატინეს თქმულება ამ საგანზე რომ ნამდვილი შემთხვევა იყოს, მაშინ — ჩხადია ესა — ის მოსსენებული იქნებოდა უცხო ტომთ მწერ ლოგან, მაგრამ ამ შემთხვევაზე არაფერ ერთი მატინე არ უხვესებს, მასე სარკინული

მოხსენებებს ვაკვრით ტირდატის მონაწილეობას ზღა-
 ბუნის ბრძოლაში გუთთებთან ანუ გოთთებთან, რომელ-
 შიაც ტირდატი უსასულებია თავი. ეს მომადარა 281
 წელს. დიოკლეტიანის დროს, 284 წელს სამხანის
 თქმით, ტირდატი გოთების მეტეს ჭრთეს შეებმის და
 მოჭკლავს იმას, ამითი დასრულდება რძი. გუთებს ანუ
 გოთებს ჭსადან სკვითებ დ იმათი ენა მიემსგავსება ნე-
მეცურს და სპარსულს. ბევრად გოთნი დამყარებულნი
 იყვნენ სკანდინავიაში და შვეიცრიაში. შემდეგ სამის საჟ-
 კუნისა წინად ქრისტეს შობისა, იმათ დაუჭკრიათ სამ-
 სრეთი და აღმოსავლეთი ნაშირები ბაღტიის ზღვისა;
 აქედამ ისინი გაბნეულან გეჭმანისაკენ და შავი ზღვის-
 კენ. საიღამაც სშირად თუჩრე სტემდნე დუნნსად მსარე-
 ებს. იმათ ისე შეაჩუყეს რძმი, რომ რძმის იმპერატო-
 რებს სარჯით უნდა მოესყიდათ იმათი მშვიდობა, რ-
 ძელსაც ისინი ეოგელსავე შემთხვევაში არღეეღნენ. ვა-
 ჟკრიანის და გალდიანის დროს გოთებმა განვლეს
 ჭლელსზონტი, ააოსრეს მტირე აზია, დასწკეს ედესის
 ტაძარი და შეგადნენ თვით კაპპადოკიაში. თითქმის ეო-
 კელს რძმის ბრძოლაში სპარსეთთან აუცილებელი იყო
 იმათი მონაწილეობა, რომელსაც სან ერანს მიაგებდნენ
 სან მეორეს. გოთებში ვაკვრტელეს ქრისტიანობა მტირე
 აზიიდან და მეტადრე კაპპადოკიიდან ტუკოდ გაყვანილთა;
 ერთმა იმათგანმა გოთის ეპისკოპოსმა უღჯილამ, სათე-
 სავით კაპპადოკიელმა, შეასრესტა იმათში კეჭპო-მსახურე-
 ბა, მოაწილა იმ.თი სწკობა და მისცა იმათ ანანია,

რომელიც მიღეს სსკა სკვაითების ტომთაგან. იმანვე
 გადმოსთანგებნა გოთურქ ენაზე ძველი მცნება. გარდა
 ამისა გოთებს ჰქონდათ ისეთი სამოქალაქო წყობა, რომ-
 ლეუზედაც შემდეგ დამყარდა გერმანიელების სჯულ-დებამ.
 — ქართლის-ცნოვრება, რომელცა სხანს მიწიანის დრო-
 საც და იმის წინათაც, სმარად მოისსენებენ ერთ ჩრდი-
 ლო-ტომს, საზარებს. ვინ იყვნენ საზარნი, რა დრო-
 დამ აჩიან ცნობილნი, სად ცნოვრებდნენ, რა რიგად
 და რომლის შაწოდნენ პირველად კავკასის მთებს, ამასუ
 ჩვენ გგქონდა ვრცელი საუბარი „საქართველოში“ ჩვენ
 მატინეს ამ ტომზე, სწულებით ეთანხმება უცხო-ტომთ
 თქმულებას. ქართველებისა და სომხების გარდა საზარებს
 მოიწვევდნენ რომელიც და სზარნი თაჯიანთის ურთი-
 ერთის ბრძოლის დროს, და თვით ისინი, რომელსაც
 უსაქმოდ შთებოდნენ, სან აქ სცემდნენ, სან აქ. საზარ-
 ნი საშიში იყვნენ უფრო სზარსეთისათვის, რადგანაც
 იმათი მოხერხებული გზა დასცქეროდა სზარსეთის საზ-
 ლვარს. ეს გზა მიემართებოდა დერბენდის მხარეს, და
 ქართლის-ცნოვრების შერიშებით, უფრო „ფართო“ და
 დიდილად გასავალი იყო ვიდრე ვჩინი სუვას-გარი ანუ
 ღარიალანი, ქართველების „დარზუნდის კარი“ უცხო-
 ტომთ მწერადთაგან დიდი ცნობილია: იმას უწოდებენ:
 რომელიც Plae Albaicae, Plae Casiae, სომხები
 ჩიგ—ანუ ჩიგ, ბერძნები ძურ დერბენტის შესავალში
 ხმართული იყო ვრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწო-
 დებოდა ვინაფარანად ანუ აბუერიის ზღუდედ. ეს ის

ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ უწოდებთ კავკასიის კედლად და, ახალის გამოკვლეებით, როგორც ამას ჰუმბოლტი ფიქსირებდა, აქამომდე დატყუილი, მიემართება 360 ვერსზე, და დერბენიდან მყოფლებული ერთის მხრით გადადის კავკასის იქით, მეორეს მხრით შედის საქართველოს საზღვარში უეჭვლია, რომ ეს ვრცელი ზღუდე უნდა იყოს ამქნებული სხვა და სხვა დროს და სხვა ტომიდან. „საქართველოს“ მეფეებს, ბრძანებს შენიშნა, დაღუპილი ჰქონდათ ომიანობა დერბენის მხარეს და ამისთვის იმითი სარგებლობა მოითხოვდა, რომ ჯასკალი წარისა ანუ ძუჩისა იმათ დასუფილი და დატყუილი ჰქონიყთ“ დერბენის ცახე-სამიგრეზე დიდი ეურჯადება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან. რომელსაც ის იყო სპარსების ხელში, ისინი იმას დიდ-ძალის განნიშვნებით სტვიდნენ იმას, რომ საზარნი შეეკავებინათ.

ჩვენის თქმით, ტირდატის ომი მიწიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ რომ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ჩვენის მდგომარეობას. რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან; რომი ექმნება ტირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს რომისთვის დატყუას; სპარსეთი ექმნება მიწიანს სასანიდს. რომელიც და სპარსნი ამ შემთხვევაში ეძიებენ თავის საზღვარებს, ესე იგი, რომელიც მხარე ცდილობს საკუთარს გავლენას გავრცელებას ყოველში. ეს ვიან, რომ ამ აწრს არ ეთანხმება რომელსაც გარდამოცემა, ვითომც საქართვე-

და ექვემდებარებოდა ტირდატს, ვითომც მარინი იყო
 ტირდატის სპოთა უფროსი, ვითომც იმის მზადების
 დროს საბრძოლველად სპარსეთთან, 296 წელს, იმან
 მიხმელა ჯობანის და იბერიის ჯარები უკმაღ სსენებუ-
 ლი თქმულენა სპარსთა შეთვის ბრძოლასე გასტანტინე
 დიდთან ისტორიული სიტყუა. ჯვარის წარმომბა აქ
 „ღვთის მსახურთ ვაწთ რჩევით“, დაძარცვება სპარსთა
 და შემდეგ გასტანტინესაგან ნათელ-ღება სსვა და სსვა
 დროს შემთხვევა: ჯვარის ძალით სსლია გასტანტინემ
 თავის მტერს., მგრამ ეს მტერი იყო მაქსენი და არა
 სპარსეთის მეფე. გასტანტინემ ნათელ-ილა ბევრით შემ-
 დეგ ქართლის-ცხოვრებისაგან ჩვენებულ დროსე, ესე
 იგი თავის სიკვდილის წინად. გარდა ამისა აწც გას-
 ტანტინე დიდს. არც იმის პირველ შვილს გასტანტინე
 მეორეს არ ჭქონათ ბრძოლა სპარსეთთან, თუნიცა გას-
 ტანტინე მეორე მკემზადა საბრძოლველად, მგრამ ამ
 მზადების დროს მკვდა. ეს ბრძოლა იწყო მხოლოდ
 გასტანტინე დიდის მეორე შვილმა გასტანტინემ. შესძ-
 ლებელია, რომ ამ ომში შეემსრო ჩვენი მეფე სპარსეთს
 და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და
 ამისგამო იმან მიჭმართა გასტანტის, გასტანტიმ და-
 მოევრა ის ტირდატს.—ამ დროს ჩვენს მატარიეში მოს-
 სენებულია მარინის ძე ბაქარი, ვითომც გასტანტინესა-
 გან მსეკლად გაყვანალი. იმის თქმით შემდეგ ქრისტეს
 სჯულის მიღებისა მარინისაგან, „კვისაგან გასტანტი-
 ნემ გამოუგზავნა იმას ძე ბაქარ ნიჭითა დიდითა“. ეს

იყო ის ბაქარი, რომელიც მიწიანის მოადგილედ დაჯდა საქართველოში და მეფობდა 342 წლიდან 364 წლამდე. აქ უნდა ვსთქვათ, რომ არც ბაქარის შესახებ ეთნოხმება ჩვენი ცნობრება უცხო-ტომთ თქმულებას, რომელიც თუმიცა მოიხსენებს „იბერიის მეფის ძეს ბაგურის“, მაგრამ როგორც სხანს, ის უნდა იყოს სხვა ბაქარი. რუფინის გაუცგნია იერუსალიმში ბაგურისა, რომელსაც იმისთვის უამბნია ქრისტეს სჯულის დამყარება საქართველოში. რუფინის სიტყვით, ის ყოფილა დიად უმაწვილი, რომელსაც ნინოს უქადგინა ჩვენში ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაურის აღრულობისგამო ის გასულა საბერძნეთში და აქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუხდვია სასახლის მსახურით. უფროსობა და პალესტინის გამგეობა. ის მოკლულა 394 წელს, მაშინ რომელსაც ბერძნების ჯარით თურქმე ებრძოდა ტირანს ვიკენის. იმის ახრვანებას დიდის ქებით მოიხსენებენ იმ დროს უცხო-ტომთ მწერალნი.

III

ქრისტეს აღსარება დამოწმდა ჩვენში მიწიან მეფის დროს.... ვიდრე ამ საგახს გამოვიკვლევდეთ, უნდა მკითხველს მოვავთხოთ, რომ ახლის მცნების შემოტანამდე ნინოსაგან, საქართველო ამ მცნების მისაღებად ძველადვე მზადდებოდა. ჩვენ საზღვრად, სომხეთში, შერმოქართველში და ეგრისში, ანუ იმერეთში, ვიხრველ საუკუნო-

დაძვე იყო დანერგულია ქრისტეს სჯული. წარმართობას მთლად აღიარებდნენ მსოფლად ქვემო-ქართლი და კახეთი, თურც, ჩვენის ფაქრით, აქაც იყვნენ ასაღის საწმინტეების მიმდევნი. ასე იგულისხმება ზოგოერთი ადგილი ქართლის-ცნოვრებისა.

საქართველს განმანათლებელს ქართლის-ცნოვრებს უწოდეს ნინო. ნინო იყო, ამბობს იგი, „კაპპადოკიის ქალაქით“, თუმცა არ გვიჩვენებს იმის ტომ ნათესაობას ნინოს მამო იცნობება „კაცი ვინმე მთავარი, სახელით ზაბულონ“, დედად -- სარა, დისწული იერუსალიმის ჰატრიაჩისა იობენაღისა. ნინოს ნათესავად ჰსადიდნენ თვით გიორგი მთავარ-მოწამეს, რომელიც ამ ძაწყვის გამო საქართველს ღებდა არს მიღებული და მთელს ჩვენ ტომში დიად ზატოვტოული ნინოს ჯარდა იმის მშობლებს სსკა შვილი არ ჰყავდათ, და „აღსარდა იგი დედაძან გლახაკთა მსახურებაში და რომესაც ნინო შეიქნა თორმეტის წლისა იმის მშობლებმა გაჰყიდეს თავიანთი ძონაგები და ამა იერუსალიმს“. გაემგზავინენ იერუსალიმს“. „შემდეგ ზაბულონ გაემოწა თავის ცოლს და მიჰმართა იორდანის მსარეს კაცთა ველურთა“. დედა ნინოსი მისცა ზატრიაჩსმა „გლახაკთა დედათა და წმინდა ნინო მსახურებდა დვინელ სომეხს ნიკოლოსს, რომელიც ღრის წლის განმავლობაში ამტკიცებდა იმს ქრისტეს სჯულში. ნინო ყმაწვილობითვე დაადგა ქრისტეს სჯულს გავრცელების ასხარესს. ნინო გავიდა იერუსალიმიდან ახალ რომში ანუ კონსტანტინეპოლში, სადაც

გავსა „დედა-კაცსა ვისმე ეფესელს ეღებუ დედოფლის
 სხნილჳკლად და სიტყვის-გებად ქრისტესთვის“. აქ იმას
 შესვდა დედოფალი ვისმე და ტომი სომქთა მეფეთა,
 რიფსიმე და იმისი დედა-მეუძე გაიანუ, რომელნიც ცხრგ-
 რობდნენ დედათ მონასტრში და მომლოდნე ყუენქ
 იერუსალიმით ნათლის-ღებისა“. ნინომ დაჳყო აქ ორი
 წელი და „ნათელსცა რაფსიმეს, გაიანებს და სსკათა
 რიცხვით ორმოცდა-ათთა სულთა“. ამ დროს კეისარ
 ეკუბდა ცოლად „ქალსა შვენურსა“. იმას შეესმა რიფ-
 სიმეს მშვენურება და ისურვა იმასთან შეუღლება: რიფ-
 სიმე და სსკანი დედანი ფარულად გაჩიფტენ და შე-
 ვიდნენ სომხეთის სატასტო ქალქში დანში. აქ და-
 სანდნენ საწინსლის ტალკარში და იგებებებოდნე თავ-
 სის სულსამეს უფიანა სომხეთში, მასთხვა ასტიტდატ
 მეფეს. ტიტდატმა გამოსკუნა ისა და თვითან ისურვა
 იმისი შერთვა. რიფსიმე ურს-ეკმისა და ამისგამე „იწმა
 მის მიერ წამებისა დეწლითა, მისთანა გაიანეცა და სსკა-
 ნი მკვალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს, იტყვის
 ქართლას-ცხრგება, წიგნსა მას წამებისა მათისასა, მქ-
 ცუკასა შინა სომქთასა. რომელნიც მათგანნი იმთ მო-
 რის-თვით ნანო დანიდნენ და იულტოდნენ ქართლის-
 ცხრგების თქმით აქ ნინოს მოესმა სმა: „ღუდუგ და
 ვიდუდე ჩრდილად გერძო, სდა იგი ფრად არს სამკა-
 ლი, ხალე მეშაკ უფლად არა“. ნინო შეუდგა გზასა,
 და მივიდა ორბანთად, სომხეთისაჳე საზღვრად, სდაც
 იმან „დაიზამთრა გაკომოცული დიდის ჳირით“. ჳაფუ

ხუფს ნინო ისევე გაემგზავრა და მივიდა ჯავახეთს; სა-
 დაც მიაწედა დიდსა ტბასა უაჩანასად წოდებულსა“
 აქედამ იხილა მთანი ჩრდილოისნი; საუკუნი თოვლით და
 და სასტრიკის ჭაურით და დაჭურა ის რაი დღე დაითხოვა
 საზრდელი მეთვესეთაგან, რომელნიც მონადირობდნენ
 ტბაში დაიუფრენ მწუქმსნი; ისანი ჭხადადნენ თავიანთ მიჯრ-
 ველად ღმერთთა აზმანსა და შადენს“. ნინომ გამოჭკით
 ხა სომსურის ენით იმათი ვინაობა, და იმათ დაუსახე-
 ჯეს სხვათა შორის ქალაქი მცხეთა, „სადა ღმერთბ
 ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. მასეს სიტყვით,
 „ნურეს ეძიასა ღიბრანი სამსეული; ის იყო უცხო სო-
 ჳელში, გასმარებული ყოვლისავე სოფელულისაგან, მიმ-
 სტკალული ვერისადმი, გართული დღე-ყოველ სიკვდილ-
 ში, აღმსარებელი სიტყვით სიტყვისა ღვთისა და დაგ-
 ვიბრებელი თუენდა: სისხლის გვირგვინით. გაგებდა
 და ვიტყვი — განაგრძობს მისე, — რომ ნურე შეაქნა მო-
 ტიქელ“. მუდამ მმარსველი და მსურველ მღვდელი,
 ნინო ჭსედაგდა სასწაულუბრებს ჩვენებაებს. ის იკვებებო-
 და საზრდელით, რომელსაც უცხოთ და მგზავრთ გაი-
 სთხოვდა. იმისი სასწაული იყო ხშირად ქვის ღვდი,
 თავშესაფერი თვით ბუნება: საწინელი მავლის ქონი და
 სხვ. ნინო უწოდდა თავის თავს რომის ტყვედ. თავის
 მოგზაურობაში ის ხან-და-ახან მსვლელობდა მარტო და
 „ნასვიდა ჭირთა დიდთა გზათაგან და შიშთა დიდთა
 მსვრთაგან“ ფარავანიდამ დაწყობილი ნინო მიტყუა მდო-
 ნარეს მტკვარს და შევიდა „ქალაქში, რომელსაც უწოდ-

ნუნ ურბნისად. აქ იმ ნინომ ნასა ენი უცხო და უცხო-
 თა ღმერთთა მსახური, და შევიდა ურბითა უბანში სადაც
 მუსაიფობდა ებრაულის ენათ. აქ დაჭეო ერთი თვე და
 გ:მოიკვლევდა საქმესა და ძალსა ქვეყნისასა“. აქედამ ნი-
 ნო გაჭევა რეკსა მრავალსა წარმავალსა დედა-ქალაქად
 სამეფოდ მტკუნად მოვაჭრებად და ზოგად წინაშე აწ-
 მას ღვთისა“. მტკუნთაში ნინომ დაისადგურა მოგვთა
 მსალბლად სიღისა, სადაც იგილა მოგონა ცეცხლის-მსა-
 სურთა და საცთური და სტირლდა წარწყმენდასა მათსა
 და ილაცვიდა უცხოებასა თვისსა“. აქ ნინო შეითვისა
 დედა-კაცმა ვინმე, მეფის სამოთხის მტველის ცოლმა სა-
 სულათ ანასტასიოს, რომელთანაც დაჭეო ცხრა თვე. ცხრა
 თვის შემდეგ, ჰმოვა გარეჯან ქალაქისა ზღუდისა ქონი
 ერთი შრომა, მსგავსი მტკუნისა ტალაქარისა მუგალი-
 საგან შემსადებულა, და ჰყო თავის საცხოვრებლად. აქ
 შიგნით აღმართა ჟვარი, თვით მისგანვე შემსადებული
 კართა ნასსლევისგან, რომლისა წინაშე ითენდა ღმერს
 ძადად მღვიმარებითა და აგრეთვე შეადამებ და დღეთა
 დაუცხრობელად ღოცვით, მარხვით და ვედრებით. გან-
 კვირებულნი ნინოს მოღვაწეობით დედანი მტველი მე-
 ფის სამოთხისანი ემსახურებოდნენ იმას. აქ ურბის მღვდელ-
 ღი აზიანარნი და ასული იმასი სიღონისა და მათთანა
 სსვანიცა დედანი, რიცხვით ექვსნი დაემოწაფნენ ნინოს
 თუმცა არა ნათელ-იღეს რამეთუ არა იყო — ამბობს მა-
 ტიანე; უამსა მღვდელი, რომ ნათელ-ეცა მათთვის; და

იყენეს იგინი — მოწესდებოდა ნინოსა და წამალთა სმარებით მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განთავისუფლდა წმინდაძანი ნინო.

ამ გვარად დაჭყო ნინომ სამი წელი: განაცხადა ქადაგება და დაიმოწაჟა მრავალი“. ამ დროს ნინომ განკურნა სხვათა შორის მოგვი მთავარი სპახსი და აგრეთვე დედოფალი ნანა “სურისაგან რამელას კურნება ვერაგინ შესძლო“. და ამ დროდამ დედოფალმა დაიმეგობრებინა ნინო დაასლოებით და დღე უარეულ გამოიგვლიგდა მისგან სჯულსა ქრისტესსა, და „იქმნეს მოგვი მთავარი სასლუგულოთ და ურითურით მისით და თვით დედოფალი მოწმუნები და იცვეს დიურთი ტემპარტი“. „ასწავებდა ექსა დაუცხრომელად წმინდა ნინო და არაგინ აუწევდა, თუ რაინ ვარ, ანუ-სით მოკალ“, არამედ ტყვედ უწოდდა თავის თავსა“. „განცვიფრებულმა მიწიან შევემ იწუა გამოძიება ქრისტეს რჯულისა და მარადის ჭკითხაგდა ურთა უათელს აბიათარს ძველთა და ასაღთა წიგნთა შემცნებას და იგი აუწევდა უარეულსა“. მიწიანს „აქინდა სურვილი ქრისტეს რჯულისა, რადგან ესმოდა მას მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერ საბერძნეთით და სომხით, და არ აბრკოლებდა ნინოს ქადაგებას“.

ერთს ჩათესულს დღეს ივლისში გავიდა მეფე მიწიანს სანადიროდ მუხნარის მსოფ, და მოუსდა უზინო მტრები ბორბოტი, ეშმაკი, და შთაუკდო მას გულში სიყვარული კერზთა და ცუცხლისა, და აღქრა სურვილი მისი რამ მახვალთ მასწვევით უარეულნი ქრისტეანენი“. ამ

უმად, როდესაც მეფე „აღვიდა თხროთისა - შოხე, სამ-
 ხრის დროს დაუბნედა მას მსე და დაცა სიბნელე.
 მიწიანის მსალებელი იყენს გაბნეული და თვით მარ-
 ტო დაშთენილი. შეშინებული და შეძრწუნებული მეფე
 აწუებოდა აქ-იქ და მოვიდა რა ცნობას ესრედ უწას-
 ვიდა: ვსადე ღმერთნი ჩემნი და არა ვპოვე ღმერთნი.
 აწ
 ნუთუ არა ძალადვით სხსა ჩვენი ამა ჭირისაგან, ანუ ნუ
 თუ ჩემთვის რადენ არს ჭირი ესე? ღმერთო ნინოსაო,
 განმინათლე დაშე ესე და მიხვენე საყოფელი ჩემი, და
 აღვიარო სასელი შენი, აღვიარო ძელი-ჯვარისა და თაყ-
 ვანი ვსცე მას, და აღვაშენო სასლი ჩემდა სალოცველად,
 და ვიყო მოწილ ნინოს და სჯულისა მისისა. წარმოს-
 თქვა თუ არა ეს მოეფინა ნათელი და გამოუბრწყინდა
 მსე. გადმოხდა მეფე ცხენით განიჭურა სკლნი აღმოსავ-
 ლითით და ჰსთქვა: „შენ სად ღმერთი ყოველთა რედა
 ღმერთთა, ღმერთო, რომელსა იტყვის ნინო. აჭა ესურა
 მიწრობიეს, რომელ გინდა სხსა ჩემი და ღმერთნი და მი-
 სლავება შენდა. უფალო კურთსეულა, ამა აღვილსა
 აღვიარო ძელი ჯვარისა...“ „და ისილა ეძინა მას ნა-
 თელი და გამოეჩინა ერი განსეული. ხოლო მეფე და-
 დადებდა: „მ-ერთ ღმერთისა ნინოსსა დიდება ყოველ-
 მან ერმან“ - დედოფალი და ყოველი ერი განვიდნენ მი-
 საგებებლად მეფისა, თვით ნინო იდგა მწუხრას ღმერთად
 მსაგებლანში ჩვეულებისამებრ და მისთან რომელიც და
 ათი სული და როდესაც შემოვიდა მეფე, აღვიარა ქ-ლ-ქი,
 და მალის სმით დადადებდა მეფე: „სადა არს დედა-

კანდი იგი უცხო, რომელ ანს დედაი ჩემი და ღმერთი მისი მსსნელა ჩემი“. გაზრდილდა მეფე სახედრისაგან მივიდა ნინოსთან და ეტყოდა: „აწ ღიკს მეფე სასელ-დე-ბად სასელისა ღვთისა შინისა და მსსნელისა ჩემსა“. თვით წმინდა ნინო ახწავებდა და მოწაფითურთ თავსით ქადაგებდა ერსა შინა დღე და ღამე დაუცხრომელად და უხკეკებდა გზასა ჭეშმარიტისა სასუფეველისასა“.

ამ დროს მიჩიანმა აცნობა საქმის გარემოება კოსტანტინე იმპერატორს და მოსთხოვა მღვდელნი. კოსტანტინე და დედა იმისი ელენე აღივსნეს სინარულით. იმათ წარმოუგზავნეს მიჩიანს „მღვდელი ჭეშმარიტი, იოანე ეპისკოპოსი და მასთანა მღვდელნი ორნი და დიაკონნი სამნი, ჯვართ და ხატით“. მიჩიანმა შემოკვირება მცხეთას ერისთავნი: სპასალარნი და ყოველნი პიჩნი სამეფოსანი. თავდაპირველად ნათელ ილო მეფემ წმინდის ნინოს ხელით, და შეიდგომად დედოფალმა და შვილთა მათთა ხელით: მღვდელთა და დიაკონთა აკურთხეს მდინარე მტკვარნი და ეპისკოპოსმა „ნათელ-სცა წაჩინებულთა სიდის-გაჩსა მოგვისა რომელსაც ეწოდა მოავართა სანათლაგა. მთავარი სანათლაგის ქვემოდ მდინარისავე პარსა, ორთა მღვდელთა და დიაკონთა ნათელ-სცეს ერსა... და ესრედ ნათელ ილო ყოველმა ერმა და ქართლისა სიმრავლემ. ანა ნათელ ილოს მსოფლოდ მოიულთა კაპკასიელთა და აგრეთვე უჩიანთა მცხეთელთა გაზრდა ბარბანთ ორმოც-და-ათის სანაღმა. ამისთვის დიდ-იქმნეს წინაშე მეფისა, რომელთაც მიუბოძა მეფემ დაბა

ცისე-დიდი აწა სათელ-ილა მიწიან მეფის საძეი ფე-
 რაშმა აწცა ერმა მისმა“. მიწიანის მოთხარებით გოს-
 ტანტინემ წარმოუგზავნა იმას მეფე ცხაკელის ნაწილი
 და დედის განმით სურონი და მღვდელნი, „რომ გაკ-
 ლათ ყოველი ქალაქი და ადგილნი და სათელ ეცათ ერ-
 ისათვის. ამ თხარებით გაგზავნილი იყო იოანე ეპისკო-
 პოსი. ერუშეთს იოანემ „დასტოვა სურბები ეკლესიის
 აღსაშენებლად, სადაც დასდო ვადა განმნს სამსჭვალნი
 უფლისანი და წარმოვიდა და მოვიდა პანგლისს; აქ იწ-
 უო ეკლესიას და დასტოვა ფიცარნი უფლისანი. მიწიან-
 მა იწუო მცხოვრას. თვით იმ ადგილს, „სადაც იყარენ მუ-
 ჯანი ნინოსნი“ აღშენებ საფასკოპოლო ეკლესიისა,
 რომელიც განასრულა ნინოს სიკვდილის შემდეგ მიწიანმა;
 გარდა ამისა აღმართა თაფანის საცემლად ჯვარნი მცხე-
 თის ეკლესიისში, მცხეთის ზირის-ზირ ჯვარის მთასე,
 თხარათის მთასე და სოფელს უწარმას. შემდეგ ამისა
 მიწიანმა განაწარას მასვილით მოქცევა მთიურთა და თა-
 ვის სიძისა ფერაშისა. ნანამ აწ მისცა ნება მასვილის
 მოხმარებისა. იმათი მისაქცევად გავიდა თვით ნინო, რომ-
 ელსაც მიწიანმა გაყოლა იოანე ეპისკოპოსი და ერთი
 ერისთავი. „მივიდნენ და დადგენენ წარბანს და მოუწო-
 დეს ზირუტყის მსგავსთა მთაულთა ჭარბალელთა, თხარ-
 კელთა, და გუდა მუჭულთა, რომელთაც უქდაგეს სასა-
 რება. მგრამ იმათ არისუჭვეს ნათლის-ღებან. მამინ ერ-
 ის თავმან მცარედ მოიხმარა მასვილი და ძველით შე-
 მუსრა მათნი კერპნი“. „ამჟამი გამოვიდნენ და მივიდნენ

ვალეთს, აქ უქადაგეს ერწო-თიანეთს, რომელთაც, შე-
 წყნარეს ქადაგება და ნათელ-იღეს. სოლო ფსოკელთა
 დასტოვებს თვისი ქვეყანა და გარდვიდნენ თუშეთს და
 სხვანაირა მთიულნი უმრავლესნი არ მოიქცნენ და ამის-
 თვის შეუძიმა მათ ბუიემ სარკი, რომელნიმე მათგანნი
 უკანასკნელ მოაქცივნა აბიხოს, სეკრესელ ეზისგოზოზმა,
 რომელნიმე დაწნენ წარმართებასაკე დღესამომდ. შემდეგ
 წმინდა ნინო გაემგზავნა ჩანს ფეროზის მოსაქცეველად
 და როდესაც მიუხლა კურეთს, დაბასა ბუდის (ასლან-
 ღელს ბოდბეს) დაჭყო და მოვიდოდნენ მასთან კასეთით,
 და აღიარებდა ქრისტეს სწავლას სამრავლე ერისა. დასწე-
 ულდა წმინდა ნინო შეაკედრა სუფი ცათა მეუფესა შემ-
 დგომად მოსვლისა ქართლს მეოთხთმეტესა წელსა. და
 შემდეგ ქრისტეს ამადლებისა სამას ოც-და თორამეტსა
 წელსა. მაშინ შეადრა ორივე ქალაქი, მცხეთა და უჯარმა
 და ყოველი ქართლი: მივიდნენ და დამარსეს ძლევით
 შემოსილი გვაძი ნინოსი მუნვე დაბასა ბუდისასა, რამეთუ
 მუნვე მოსთხოვა მეივს დასაფლავება თვისი, სიმდაბლი-
 სათვის ჭქმნა ესე წმიდამან, დაურთავს მატიაზე რამეთუ
 ადგილი იგი შეურაცხი იყო“...

საქართველოს მოქცევის გვიანობებზე რომელიც ჩვენნი
 მწერალნი, აგრეთვე უცხო ტომნი: სომეხი მოსე ხორე-
 ნელი და ბერძენთ სეკელესიო ასტორიგოსნი, ანუ თანა
 მუდრეენი ნინოსნი, ანუ იმის ასლო დროს მცხოვრებნი,
 რეიუინი. რომელი კონსტანტინე დიდის დროს ჭეკავოდა,
 ვრცლად აგვიწერს ამ სავანს და ამასთანავე შეჭნიშნავს,
 3

რომ ეს გარემოება მიაშრო იერუსალიმში იბერიის მე-
 თეიმ ბაგუჩიუს. კონსტანტინეს შემდეგ სოკრატე, სოზო-
 მენი, თეოდორიტი და სხვანი ქრისტეს სწავლების გავ-
 რცელებას ჩვენში მოგვიტოსებენ ქართლის-ცხოვრების
 თანახმად, თუმცა ამ დროს საქართველს მეფედ ისინი
 მოიხსენებენ ბაგუჩის, და არა მიჩიანს, ჩვენნი მწერალ-
 ნი არიან: „სალომე, უკანძმელი დედოფალი, მიჩიან
 მეფის ძის რევის მეუღლე, ასული ტირდატ სამეცთა მე-
 ფისა,“ ახიათარ ძღვალელი უჩინათაგანი და სიდონია ახი-
 თარის ქალი. ახიათარ და სიდონია იყვნენ წოგორც ამას
 თვითონვე იტყვიან და წოგორც ეს ზემოდ ქართლის-
 ცხოვრების გამანათქვამი დამ სხანს, პირველნი ნინოს მო-
 წაფენი. სამივეს თქმულება ჩართულია ქართლის-ცხოვრე-
 ბაში. ის მთლად იმას ეკუთნის, თუ არა არ ვიცით. ეს
 კია. რომ აქ ადგილ-ადგილ ამოვიკითხავთ იმ გვარ სი-
 ტყეებს, რომელნიც შემდეგ დროს მიეწერებიან; მაგალ.
 სალომე სამეფო მტილის ანუ „სამოთისის“ აღწერაში
 ამბობს: „სადა იგი აწ არს სვეტი ღვთივ აღმართული
 და ეკლესია საკათალიკოსო“ განაწესეს ჯვარის მსახუ-
 რება... ეოველიან ქართლიან დღეინდელად დღემდე“ „რო-
 მელნიმე მთიულთაგანნი უგანასკნელ მოაქცივნა ახიბოს
 ჩეკრესელ ეპისკოპოსმან, რომელნიმე მათგანნი დაწესეს
 წამართობისსაგე დღესამომდე“ ვინ იყო ნინო ამაზე ქარ-
 თლის-ცხოვრების გარდა ჩვენ სხვა ცნობა არა გვაქვს
 და ამისთვის დასკუმიანობით ვერას ვიტყვი. ბერძნე-
 ბის მწერალნი იმის სასელსაც არ იხსენებენ. ისინი

იმას მხოლოდ იბერის ტყვედ ჰსადიან, თვით ნინო ტყვედ-
 ვე უწოდეს თავის-თავს. მოსე სოცენელი იმას სასულ-სადებს
 ნუნედი იტყვიან, ვითომ ნუნედ ანუ ნონედ იწოდებოდ-
 ნენ საზოგადოდ ეგვიპტის მონაზონნი და, უნდა ვიფიქ-
 რეთ. აქედამ არის წარმომდგარი სასულ-წოდება ნინო.
 ქართლის ცხოვრების ცნობა ნინოს სამშობლო ადგილ-
 ზე კაპპადოკიასზე შესაწინააბუთებელი ცნობაა. კაპპადოკია
 მდებარეობდა თარლის მთაში, შავის ზღვის პირად, და
 და იმის საზღვრებში ითვლებოდა თვით მცირე სომხე-
 თი. კაპპადოკია დასასლებული იყო უფრო სემიტის ნა-
 თესვისაგან. აქ ძველად გავრცელებული იყო სირიული
 ენა და ნინეიისა და ბაბილონის სწავლა—ხელოვნება,
 რომელიც ალექსანდრე მაკედონის შემდეგ დაიმონა
 ბერძნულმა ენამ და განათლებამ. კაპპადოკიაში ნინოს
 დროს ქრისტეს სჯული დამყარებული იყო. აქ არ შეიძ-
 ლება უფუროდებოდ დაკტოვით ერთი ღირს-სახსლოვანი
 შემთხვევა. ეს ის შემთხვევაა, რომ კაპპადოკიით გაყვა-
 ნილმა ტყვეებმა საზოგადოდ დიად დიდი საჩუქებობა
 მიაგეს ახალ მცნებას: იმათ გაავრცელეს ქრისტიანობა
 თვით გუნებში; გოთის პირველი ეპისკოპოსი ულფი-
 ლა, რომელიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ, იყო კაპპადო-
 კიაში დატყვევებული. ჩვენის აზრით, ნინო შიამამავლო-
 ბით უნდა უფადიყო სირიელი. ნინო საუბრობდა რამ-
 დენსამე ენას. იმან იცოდა სომხური, რომელიც ქართლის
 ცხოვრების თქმით იმას ესწავლა ნიაფორესაგან, ბერძნუ-
 ლი რომაული და ებრაული. ის იყო დახლოებული

მეუწინააღობაში წარმოადგინა კიდევ მოვიხსენიოთ. ნინო იყო
 აღზდილი დვინელის სომხის ნიათგორცას; იმისნი დაახ-
 ლაგებულნი მეგობარნი იყვნენ: „ადლოფაღი ვინმე სო-
 მხთა მეფეთა წიფსიძე და დედა მძუძე მისი გაიანე“.
 ქართლის-ცხოვრების ცნობითვე ნინო კაი-სანი ცხოვრე-
 ბდა სომხეთში. სომხეთიდანვე შემოვიდა ის ქართლში და
 მცხეთაში. იმისი გზა იღო ვაკასეთზე და ტაშის-გარე
 ანუ ასლანდელს ბორჯომის სეობასზე. — სომხეთის გა-
 ვლენა ქართლ-კახეთის გაქრისტიანებაზე ცხადი საქმეა.
 თუძცა ამას ჩვენი მატანე ან იხსენიებს. ამას გვიმო-
 წმებენ წარმოადგინა საქართველოს სასარგებოთ განათლება
 ასლან დროს, შემდეგ სომხეთის განათლების,
 აგრეთვე სხვა ფაქტები. სომხეთის მეფემ ტირდატმა გრი-
 გოლ განმანათლებლის სულით ნათელ-იღო, სენმარტი-
 ნის სიტყვით, 276 წელს ბრძანეს ფიქრით კი 301 ანუ
 311. მიწიანმა და იმის ქვეშევრდამთა მიიღეს ქრისტი-
 ანობა მეოთხე წელს შემდეგ ნინოს მოსვლისა მცხეთას.
 ამ წელს სომხის ისტორიკოსი ჩამჩიანი უჩვენებს 317,
 ბეძინის მწერალი ბარონიუსი 311 ანუ 327; ბრძანეს
 ნინოს მოსვლას მოიხსენებს 325 წელს და მიწიანის
 ნათელ-ლებას 328 წელს. იმ შემთხვევისთვის, რომელსაც
 აქ შევეხებით, ჩვენს აზრში დიდი მნიშვნელობა აქვს
 შემდეგ გარდამოცემის მოსე ხორენელისას: მოსე ჯერ
 მოკლედ მოიხსენებს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმის
 ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მიწიანის განს-
 რხვას, რომ იმან შიშით შეტყუებდა სიბუნელის გამო. ნა-

დიწმუნის დღეს თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთს, მასუგან
 ამ სიტყვებით განზარტობს: „მეშინ ნეტარმა ხუნემ მთ-
 ითხოვა სხნდა კანნი და წარგზავნა იგინი წმინდა გრი-
 გოლთან საკითხავად, თუ რა გგარ იმეჭედოს იმან რად-
 განსაც იბერიელთ ნება-ყოფლობით მიიღესა ქადაგება სა-
 სარებისა. ხუნემ მიიღო ბრძანება, რომ თვით გრიგოლის
 მიბაჰით დაამსახ კერძნი და აღმაროცხ ნიშანი ჰატი-
 ცხნისა ჟვარისა, ვიდრე უივლი იბერიელთ განსაკებუ-
 ლად მწეოს მთავრადეს. ხუნემ მვისვე შემუსრა ტექს-
 ქუნილის მშერობელი არამაზდი, რომელიც ქალაქს გარედ
 დიდის მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისაებრ მცხოვრებ-
 ნი თაყვანს-სცემდნენს არამაზდს უოკლ-დღე განთიადი-
 სსს, თავიანთის სახლის სართულებიდამ, და ვისაც იმის-
 თვის მსსკრძლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდი-
 ნარეს და ტამრების წინ დატკლავდა მსსკრძლსა. სატ-
 რაზნი (დიდ-კანნი) ქალაქისანი აღდგნენ და იტყოდნენ:
 „ვისდა უნდა თაყვანი ვცეთო ნაცვლად კერძთა“. სტნეს,
 რომ „ქრისტეს ჟვარის ნიშანსა“. გათაღეს ჟვარი და
 აღმართს ქალაქს აღმოსაკლეთად უცხო ქედსე, რომელი
 საც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათუნდა
 დღე და ეკლა მცხოვრებმა თაყვან სცეს მას, როგორც
 ამას ჩვეულება მოითხოვდა“. გარდა ამისა სტეფანე სიუ-
 ნელი გვიამბობს, რომ წმინდა გრიგოლ ეკკლესიების
 სასწავლებლად სშირად მოგზაურობდათ იბერიასი და
 აღოვანელებში, თვით მასკრტებში და მასსაკრტებში; ზო-
 გიერთნი ჩვენნი და უცხო-ტომთ მწერალნი იტყვიან,

რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლად მიწიანის დროს
 საქართველოში მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი ესტატე,
 ესტატე ანტიოქიის პატრიარქად იყდა 325 წლიდან ვიდ-
 რე 331 წლამდე. ამ დროს ამას ტახტი ჩამოართვეს
 მწკამლებლმა და კოსტანტინე დიდმა ის განდევნა. ამ-
 ტვიცებენ ვითომც კოსტანტინემ წარუგზავნა მიწიანს,
 იმის თხოვნით, ესტატე ანტიოქიელი მღვდლებითურთ,
 ვითომც მიწიანმა და ყოველთა ქართველთა ნათელ-იღეს
 ხელითა ესტატე ანტიოქიის პატრიარქისათა. სენ-მარტენის
 თქმით, ესტატეს მოსვლა საქართველოში უნდა მომს-
 დაწიყო 331 წლის შემდეგ, ბროსსეს სიტყვით კი 325
 წელს. ბროსსესაგან ნახევები დრო ის დროა, როდესაც
 იმის თქმითვე, ნინო შემოსულა მცხეთაში, და ამისთვის
 თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ
 არის, არც ბროსსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი.
 თუ ჩვენ იმაზე დავეყრებით, რომ ნინო მოვიდა მცხე-
 თას 225 წელს და მიწიანმა ნათელ-იღო 328 წელს,
 მაშინ ესტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომსდაწიყო.
 ესტატეს მოსვლაც ჩვენ უფრო ამისთვის შეგდგით,
 რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქარ-
 თველას მდგომარეობასთან. ვიდრე საქართველოში საკუ-
 თარი სპატრიარქი ანუ საკათალიკოზო დაწესდებოდა,
 მესუთე საუკუნის გასულს ვასტანგ გურგასლანის დროს
 ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს. ამ
 სამწყსოს განაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ყო-
 ველთვის ანტიოქის პატრიარქისაგან ამოიწყო და
 გამოიგზავნებოდა აქ.

ფასი მარი შაურის.